გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა სერტიფიცირების პროგრამა

<u>მოდული I</u> გადახდისუუნარობის კანონმდებლობისა და პრაქტიკის საფუძვლები (30 საათი)

ტრენინგზე განხილული იქნება: გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიზნები, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საკანონმდებლო ჩარჩო, გადახდისუუნარობის ცნება და კანონისმიერი პრეზუმფციები. გადახდისუუნარობის (ვალაუვალობის) გადაჭრის მექანიზმები - გაკოტრება, რეაბილიტაცია, რეგულირებული შეთანხმება, რეჟიმის შერჩევის თავისებურებები. სასამართლოს როლი, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესუალური თავისებურებები. გადახდისუუნარობის მასა, მორატორიუმი, მორატორიუმის ღონისძიებები არსი და მიზნები.

კრედიტორული მოთხოვნის ცნება და კრედიტორთა კატეგორიები. კრედიტორთა დაკმაყოფილების პრინციპები და რიგითობა. კრედიტორთა რეესტრის არსი, რეესტრის წარმოება და სადავო მოთხოვნების გადაწყვეტა. კრედიტორების მონაწილეობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ფარგლებში, მონაწილეობის ფორმები.

გაკოტრების რეჟიმი - მიზნები, ვადები და პროცედურები. გადახდისუუნარობის მასის რეალიზება გაკოტრების რეჟიმში, რეალიზაციის ფორმები, აუქციონის ჩატარების წესი. გაკოტრების დასრულება, რეჟიმის შეწყვეტა და კონვერსია.

რეაბილიტაციის რეჟიმი - მიზნები, ვადები და პროცედურები. რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების პროცედურა, გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, განხილვის პროცედურა, კენჭისყრა, გეგმის გასაჩივრება. რეაბილიტაციის რეჟიმის დასრულება, შეწყვეტა და კონვერსია.

<u>მოდული II</u> სამეწარმეო სამართლის საფუძვლები (5 საათი)

ტრენინგი ეხება სამეწარმეო სამართალთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს ასევე უმთავრეს პრაქტიკულ. სასწავლო კურსის მსვლელობისას განხილული იქნება სამეწარმეო სამართლის პრინციპები, კორპორაციის ქონებრივი და ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელმღვანელთა და პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები შეისწავლიან საკორპორაციო და სამეწარმეო სამართლის პრობლემებს როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კუთხით, გაეცნობიან შესაბამის სამოსამართლო პრაქტიკას, შეისწავლიან ქართული სამეწარმეო სამართლის ნორმების პრაქტიკაში გამოყენებას.

ტრენინგი მიზნად ისახავს, მონაწილეებს გააცნოს საწარმოს პარტნიორთა, ხელმძღვანელთა, კრედიტორთა და სხვა დაინტერსებულ პირთა შორის ურთიერთობის საკითხები, ორგანოებს

შორის კომპეტენციათა გადანაწილებას, უმრავლესობაში და უმცირესობაში მყოფი პარტნიორების უფლება-მოვალეობები და კრედიტორთა დაცვა.

<u>მოდული III</u> საგადასახადო სამართლის საფუძვლები (10 საათი, 2 სატრენინგო დღე);
ტრენინგზე განხილული იქნება საქართველოში მოქმედი გადასახადების სახეები: საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები;
საგადასახადო ხანდაზმულობის ვადები. განსხვავებები საწარმოს, ორგანიზაციასა და ფიზიკურ პირს შორის;
საშემოსავლო გადასახადი: დაბეგვრის ობიექტი, დარიცხვა, ვადა, გადახდისგან განთავისუფლება. რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების განსაზღვრა. ფიზიკური პირის ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;
მოგების გადასახადი: გადასახადის გადამხდელი, დაბეგვრის ობიექტი და გადასახადის განაკვეთი;
დამატებითი ღირებულების გადასახადი: განაკვეთი, დარიცხვა, ჩათვლა, ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლება, უკუდაბეგვრა იმპორტის გადასახადის გადამხდელი, დაბეგვრის ობიექტი, განაკვეთები, დარიცხვის და გადახდის წესი, განთავისუფლება. ქონების გადასახადი: დაბეგვრის ობიექტი, გადამხდელი, განაკვეთი, გათავისუფლება საშემოსავლო, ქონების და მოგების დეკლარაციების განხილვა და ანალიზი.

<u>მოდული IV</u> საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის საფუძვლები (5 საათი, 1 სატრენინგო დღე);
ტრენინგზე განხილული იქნება შემდეგი საკითები: ფინანსური აღრიცხვის არსი და მიზნები. ორმაგი ჩაწერის პრინციპი, ბუღალტრული ანგარიშები, ანგარიშებზე დებეტური და კრედიტული გატარების წესები, სხვადასხვა გარიგებების ასახვა საბალანსო უწყისში; ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის კომპონენტების განსაზღვრა; საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება. გაუნაწილებელი მოგება და დივიდენდის განაწილება; ფულადი ნაკადების ანგარიშგება: საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან. ფულადი ნაკადების ანგარიშების მომზადება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით; ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.

<u>მოდული V</u> სახელშეკრულებო და შრომითი სამართლის საფუძვლები (5 საათი)
ტრენინგზე განხილული იქნება შრომის ხელშეკრულების შინაარსი, დადების, შეცვლის, კონსულტაციების გამართვისა და შეწყვეტის თავისებურებები რეაბილიტაციისა და

კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის ფარგლებში. ტრენინგი ასევე მოიცავს ხელშეკრულების დადებისა თუ შეწყვეტის მიმართ ხელშეკრულების თავისუფლებისა და მისი შეზღუდვების საკითხს; ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების გამოყენების შესაძლებლობას და კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის მოთხოვნების გამოყენების ფარგლებს რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის მიზნებისთვის.

<u>მოდული VI</u> გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ზოგადი უნარ-ჩვევები (20 საათი)

ტრენინგზე განხილულ იქნება გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის საქმიანობის პრინციპები, განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ: გაკოტრება, რეაბილიტაცია, რეგულირებული შეთანხმება, მმართველობის ფორმები გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დროს: რეაბილიტაციის მმართველი, მოვალე მართვაში და რეაბილიტაციის ზედამხედველი - უფლებამოსილებების გამიჯვნა, დანიშვნა და აცილება, ანაზღაურების წესი. მოვალის საქმიანობის ანგარიშის შედგენა, კრედიტორთა უფლებების დაცვა, მათთან კომუნიკაცია, რეაბილიტაციის გეგმის შედგენა, რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება, სამართლებრივი შედეგები.

<u>მოდული VII</u> პროფესიული ეთიკა (10 საათი)

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პრინციპები და ღირებულებები. გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ქცევის სტანდარტი. ღირებულებებზე დაფუძნებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მნიშვნელობა. ეთიკური დილემები და არაეთიკური ქცევების აღმოფხვრის გზები გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას.კეთილსინდისიერება და მისი მნიშვნელობა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას. კორუფციის პრევენციის მნიშვნელობა და მექანიზმები ინტერესთა კონფლიქტი და მისი პრევენცია. კომუნიკაცია და პროფესიული ეთიკის განზომილება გადახდიისუუნარობის საქმის წარმოებისას: გამჭვირვალობა, გამოხატვის თავისუფლება, ანგარიშვალდებულება, ღიაობა და სხვ.

შენიშვნა: ამ პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, გაწეული დახმარების შედეგად. სასწავლო პროგრამაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.